დანართი №2

შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა- Information Technology Support) დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: **თაბუკა ციმინტია**
წევრები: **დემიდ ფასიეშვილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შპს**
საიდენტიფიკაციო კოდი: **245433623**

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 202იანვარს MES 5 26 0000052366 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 36-ე მუხლით განსაზღვრული პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 03 თებერვალს მისამართზე: ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი N38.

ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ ფარგლებში პროგრამის დამატებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამინაური რესურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში ასახულ ინფორმაციას .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ინფრომაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმი N15, 17.12.2025; ცვლილების ოქმი N1, 02.22.2026
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თამარ მეფის გამზირი N 38, ქ. ბათუმი, მახინჯაური, 6000, საქართველო
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

1. შპს „ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტში“ (შემდგომ ტექსტი ნახსენები, როგორც „ბნუ“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულების“ შესაბამისად, რომლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულების, შესაბამისი კრედიტების და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებითა და მისი დამადასტურებელი პროფესიული დიპლომის გაცემით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევისას ბნუ ითვალისწინებს მათ თავსებადობას ბნუ-ს მისიასთან, ეროვნულ და რეგიონულ პრიორიტეტებს, შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნებს, ბნუ-ს მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს, ბნუ-ს რესურსებსა და შესაძლებლობებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის საფუძველი შეიძლება ასევე გახდეს საკანონმდებლო ცვლილებები, ახალი ტექნოლოგიების შემოღება, სხვა შიდა და გარე ფაქტორები. ბნუ-ს მიერ კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესი შედგება შემდეგი პროცედურებისაგან: ა) პროგრამის ინიცირება; ბ) სამუშაო ჯგუფის შექმნა; გ) პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობისა და ბნუ-ს შესაძლებლობების შეფასება; დ) პროგრამის შემუშავება; ე) ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე, ბნუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის შეფასება; ვ) პროგრამის დამტკიცება; ზ) პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება. პროგრამის განხორციელების თაობაზე ინიცირება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, მათ შორის: ბნუ-ს ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებს, პროფესიულ სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს, ბნუ-ს პარტნიორებს და სხვა; პროგრამის ინიცირებისას, ინიციატორმა უნდა წარმოადგინოს მყარი არგუმენტი, თუ რატომ მიიჩნევს მიზანშეწონილად შერჩეული პროგრამის განხორციელებას. მყარი არგუმენტი მოიცავს, როგორც კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების თაობაზე კონკრეტულ წინადადებებს, ისე ინიცირებული პროგრამის განხორციელების რელევანტურობის დასაბუთებას იმ გეოგრაფიული არეალის ჭრილში, რომელსაც ბნუ ემსახურება; თუ ინიციატორი მხარე ვერ უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით კონკრეტული მტკიცებულებების მოპოვებას, ბნუ დაინტერესების შემთხვევაში, საკუთარი რესურსით უზრუნველყოფს გარემოებების შესწავლასა და მტკიცებულების მოკვლევას; ბნუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა - განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზანშეწონილობა ეყრდნობა ისეთ გარემოებებს, როგორიცაა: კონცეპტუალური მიზანშეწონილობა, რესურსული მიზანშეწონილობა, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, სამართლებრივი მიზანშეწონილობა და ოპერაციული მიზანშეწონილობა. წარმოდგენილია დასაბუთება, რის მიხედვითაც დასტურდება პროგრამის შესაბამისობა ბნუ-ს მისიასთან და სტრატეგიულ ხედვასთან. ბნუ-ს გააჩნია საკმარისი და რელევანტური ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი, ჰყავს არაერთი პარტნიორი დაწესებულება, რომელთანაც თანამშრომლობს პროგრამის ეფექტურად განხორციელებისთვის. დარგში არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიით დასაქმებისთვის საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის ბნუ მოცემული პროგრამის პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შესთავაზებს არაერთ სერვისს, მათ შორის უცხო ენის დამატებით შესწავლას, დამსაქმებელთან ურთიერთობისა და თვითპრეზენტაციის ტექნიკების დასწავლას, დასაქმებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შედგენის ხელშეწყობასა და სხვ. ბნუ-ს მეექვსე სტრატეგიული მიზანი და შესაბამისი ამოცანები იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას. ბნუ-ს სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, შესაბამისად აქტივობათა და პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტები სანიმუშოა და იძლევა სრულყოფილ სურათს, თუ როგორ გააზრებულად და მიზანმიმართულად არის შემუშავებული ყველა მტკიცებულება; წარმოდგენილი დოკუმენტების შინაარსობრივი მხარე დადასტურდა პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში.

დაწესებულებამ 2025 წელს ჩაატარა ადგილობრივი ბაზრის გამოკითხვა, სწავლის მსურველთა კვლევა და დამსაქმებელთა საჭიროების კვლევა, რომლის ფარგლებში გამოიკითხნენ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები და სამიზნე აუდიტორია და სხვადასხვა კომპანიები. კვლევამ აჩვენა, რომ კომპანიებს უჭირთ კვალიფიციური სპეციალისტები, კერძოდ, IT მხარდაჭერის ნაწილში; ამასთანავე კვლევამ აჩვენა , რომ ყველაზე დიდი მოთხოვნა ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის ფარგლებში გამოვლინდა. **წარმოდგენილი კვლევები და პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება იძლეოდა სრულ სურათს.**

კოლეჯი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას

- მოდულური მიდგომით - საბაზო განათლების მქონე ადამიანებისთვის, ვისაც სურს კვალიფიკაციის ამაღლება ან პროფესიაში გადამისამართება;

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია დაწესებულების შიდა პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი კოლეგიური ორგანოების პროცედურების დაცვით. პროგრამა შეესაბამება დაწესებულების მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული განვითარების საჭიროებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება“, რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურებს, ჩარიცხვის ეტაპებს, დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების წესებს, აპლიკანტთა რეგისტაციის პირობებს, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურებს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ბნუ- ში ჩარიცხვის მიდგომებს, აპელაციის წესს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურასა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპებს, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ (ბოლო ცვლილება განხორციელებულია (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 19/09/2025, 93/ნ) ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან. ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, ბნუ-ში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა მიღების პროცესის ორგანიზების თაობაზე. აქტით განისაზღვრება მიღების ვადები, მისაღები ადგილების რაოდენობა, მიმღები კომისიის შემადგენლობა და ფუნქცია - მოვა- ლეობები, სააპელაციო კომისიის შემადგენლობა და სხვა საკითხები. შესარჩევი კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 5 (ხუთი) წევრით (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარე). შესარჩევი კომისის ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი გამორიცხავს მხოლოდ ბნუ-ს წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და ითვალისწინებს ბნუ-ს პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას. შესარჩევი კომისიის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და წევრები. კომისიის წევრი შესაძლოა იყოს: პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი; სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პერსონალი; დარგის სპეციალისტ(ებ)ი; შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი; დამსაქმებელი პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენელი (სავალდებულო); პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული სხვა პირ(ებ)ი. ბნუ-ში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, დამტკიცებულია აპლიკანტთა შერჩევის მოტივაციური გასაუბრების კითხვარები, კრიტერიუმები და კომისიის სამუშაო ფორმები. ბნუ-ში არსებული ზემოაღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობის ბოლო გარე შეფასება განხორციელებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2025 წელს, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 11/11/2025.

დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია პროგრამის დოკუმენტში. დაშვების წინაპირობაა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საბაზო განათლება;

„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულების“ მე-9 თავი განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას. რის მიხედვითაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგან-მანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და პროფესიული საგანმანათლებლო ბნუ-ს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, ბნუ-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:
ა) A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
ბ) B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
გ) C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
დ) პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
ე) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის რაოდენობა;
ვ) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსები.
საგანმანათლებლო პროგრამებისათვის გამოყოფილი A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში, დატვირთულია საშუალოდ 50%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ოთხმაგი რაოდენობა; B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 50%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ოთხმაგი რაოდენობა; ბნუ-ს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ზემოაღნიშნული მიდგომებით განსაზღვრულ რაოდენობებს შორის უმცირესს. გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის ბნუ-ს მიერ დადგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ციფრის ფარგლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იღებს ბნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით წარმოდგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე - "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რაც დასაბუთებულია ბნუ- ს ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და სხვა სახის რესურსების შეფასების შედეგებით და იძლევა 60 პროფესიული სტუდენტის ერთობლივად მიღების შესაძლებლობას, ორ ცვლაში სწავლებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის" პროგრამისთვის განსაზღვრული 60 პროფესიული სტუდენტი (30-30 სტუდენტი ორცვალში) წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

4. ბნუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა განსაზღვრული აღჭურვილობა ძირითადად ემთხვევა ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა / Information Technology Support პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. შესაბამისად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ბნუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბნუ- ს ბიბლიოთეკაში ელექტრონული ან/და მატერიალური სახით.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

6. ბნუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულების" მე-5 მუხლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიხედვით, ბნუ-ში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გადაეცემა ბნუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ბნუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იხილავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობას პროფესიული საგანმანალებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან და კანონმდებლობის მოთხოვნებთან და წერს დასკვნას. ბნუ-ს ხარისხის უზრუველყოფის სამსახურის დასკვნა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი გადაეცემა ბნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს. ბნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭო იხილავს პროგრამის პაკეტს და ბნუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შესახებ და იღებს შემდეგ გადაწყვეტილებათაგან ერთ-ერთს:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გადამუშვების შესახებ, რა დროსაც სრულად/ნაწილობრივ უნდა იქნეს გათვალისწინებული ბნუ-ს ხარისხის უზრუველყოფის სამსახურის დასკვნაში მოყვანილი გარემოებები;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გადამუშვების შესახებ, რა დროსაც უნდა იქნეს გათვალისწინებული ბნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

ბნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება ბნუ-ს ხარისხის უზრუველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე; ბნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 10 ივლისის №01-43 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული განათლების დეპარტამენტის დებულების" მე-5 მუხლით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" დამტკიცებულია ბნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს 2025 წლის 17 დეკემბრის N15 საოქმო გადაწყვეტილებით; განხორციელებულია ცვლილება ოქმი N1, 02.22.2026.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება რეგულაციებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს. პროცესი არის ფორმალურად გამართული, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდეს შესაბამისი ორგანოს მიერ, სათანადო დასაბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს IT მხარდაჭერის საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს; მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს IT მხარდაჭერის სფეროში დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა / Information Technology Support არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

8. ბნუ-ს მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის - "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები, გათვალისწინებულია დროის შუალედები განმეორებითი შეფასებისათვის. პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას. პროგრამა ითვალისწინებს მოდულის - ქართული ენა A2 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 08 აგვისტოს N01-66 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი", რომელიც არეგულირებს განმსაზღვრელი, განმავითარებელი შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურებს. ზემოაღნიშნული მექანიზმები სრულად შეესაბამება ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნებს. ბნუ-ში არსებული ზემოაღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობის ბოლო გარე შეფასება განხორციელებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2025 წელს, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 11/11/2025.

ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს გადაწყვეტილება, ოქმით N15, 17.12.2025; ცვლილების ოქმით N1, 02.22.2026
- ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულებით“
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალით;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- დაწესებულების მისიით, ხედვით, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე - ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი - ჩვენ შესახებ
- ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 10 ივლისის №01-43 ბრძანებით დამტკიცებული “პროფესიული განათლების დეპარტამენტის დებულებით”
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის დასაბუთებით;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა არ ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას პრაქტიკის ობიექტზე. თუმცა, ბნუ-ს გაფორმებული აქვს მემორანდუმი IT კომპანიასთან. მემორანდუმის ფარგლებში პროფესიული სტუდენტები სასწავლო ექსკურსიის ფარგლებში ესტუმრებიან ობიექტს და გაეცნობიან იქ დასაქმებული დარგის სპეციალისტების სამუშაო სპეციფიკას. კომპანია თანახმაა ბნუ-ს კურსდამთავრებული დაასაქმოს და ჩაერთოს სასწავლო პროცესში ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში. ბნუ-ს ქ. ბათუმში, მახინჯაურში, თამარ მეფის გამზირი N38-ში არსებულ შენობაში კეთილმოწყობილი აქვს A და B სასწავლო გარემოები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია სასწავლო აუდიტორიები და ლაბორატორიები. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

   პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

   პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულებისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის დაწესებულებას გააჩნია:

   ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი #38 - სასწავლო გარემო A, აუდიტორია N331:

   - პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 1 ც
   - პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც
   - პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 40 ც
   - დემონსტრირების საშუალება - 1ც
   - დაფა - 1 ც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი #38 - სასწავლო გარემო B, აუდიტორია N335:

- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 1 ც;
- პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი - 30 ც;
- პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც;
- პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 30 ც ;
- დემონსტრირების საშუალება - 1ც;
- დაფა - 1 ც.

ქ. ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი #38 - სასწავლო გარემო B, აუდიტორია N448 (დამატებითი საკონსულტაციო ოთახი):

- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 1 ც;
- პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი - 20 ც;
- პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც;
- პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 20 ც ;
- დემონსტრირების საშუალება - 1ც;
- დაფა - 1 ც.

პროფესიულ საგანმამათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 60 პროფესიული სტუდენტით ერთ მიღებაზე, ორცვლაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგძლივობის (11,2 თვე), სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით დაგეგმილია პროგრამის ფარგლებში სულ ორი ჯგუფის (30-30 სტუდენტი) მიღება წლის განმავლობაში.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ წარმოდგენილი მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი და ხელმისაწვდომი, განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.

2.2.1.1 სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ წარმოდგენილი მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი და ხელმისაწვდომი, განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - “ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა” განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში “ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა” პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებელი. ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 10 ივლისის № 01-43 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის, დატვირთვის და მუშაობის ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგია“, რის მიხედვითაც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის მექანიზმები, მათ შორის ბნუ განსაზღვრავს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის კომპონენტებს, რაც გულისხმობს: მოდულ(ებ)ის საკონტაქტო საათების განხორციელებას, ბნუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმისა და პროფესიულ მეცადინეობის განრიგის შესაბამისად; სასწავლო პროცესის დაწყებამდე მომზადებას, მათ შორის - კალენდარული გეგმის შედგენა, სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნებისათვის პრეზენტაციების, სასწავლო მასალებისა და სხვ. მომზადებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას ეფექტიანი სწავლებისათვის; პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებას, მათი საჭიროების შესაბამისად, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად სასწავლო პროცესის განმავლობაში, შეფასების განხორციელებამდე, განმეორებითი შეფასების განხორციელებამდე და სხვ; შეფასების ინსტრუმენტების მომზადებას, განახლებასა და მათი ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას; სწავლების პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობას, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციაში, შეფასების სისტემის ვერიფიკაციასა და სხვა ღონისძიებებში ჩართულობას; სამუშაო ჯგუფებში, კომისიებში, ბნუ-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობას, რაც ხელს უწყობს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების სრულფასოვან წარმართვას; საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას; სხვა სამუშაოს შესრულებას, რაც არ მოითხოვს დასაქმებულის განსაკუთრებულ დროსა და ძალისხმევას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხიან წარმართვას. ბნუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ მოდულის განხორციელების დაწყებამდე ივსება ბნუ-ს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა. სქემას ავსებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელთან კოორდინაციით. პროფესიული განათლების მასწავლებელი ეცნობა სქემას და ადასტურებს ხელმოწერით ან იძლევა შენიშვნებს სქემის კორექტირების მიზნით. სქემის შევსება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს მოდულის დაწყებამდე 3 სამუშაო დღისა. სქემას ხელს აწერს ბნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. ხელმოწერილი სქემა გადაეცემა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს და აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში ელექტრონულად. ბნუ-ში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული დატვირთვის სქემები/ მტკიცებულებები და ბნუ-ში არსებული მექანიზმების ეფექტიანობის ბოლო გარე შეფასება განხორციელებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2025 წელს, ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება 11/11/2025.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის განაწილება საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

2.2.1.2 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა” განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით ან/და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებასა და შეფასებაში. პერსონალის ნაწილი ჩართულია სასწავლო პროცესში, მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები შესწავლილი აქვს ვალიდაციის/ვერიფიკაციის ჯგუფს, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების ხარისხი შეფასებულია ბნუ-ს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ. ხოლო ნაწილი წინამდებარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, ჩაერთვება სასწავლო პროცესში და ისარგებლებს ბნუ-ს პერსონალის მხარდაჭერის უწყვეტი მექანიზმებით. ბნუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური კალენდარული წლის დასაწყისში იკვლევს პერსონალის საჭირობებს და გეგმავს პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პერსონალის განვითარების ღონისძიებებს. პერსონალის განვითარების ღონისძიებების დაგეგმილი და ჩატარებული აქტივობების მტკიცებულებები წარმოდგენილი იყო ექსპერტთა ჯგუფისათვის, რომელიც დადასტურდა მათთან გასაუბრებისას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

2.2.1.3 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსზე, ხარისხზე, განხორციელებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უძღვება პროგრამის შემუშავებასა და მისი განვითარების პროცესებს. პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია უნდა დასტურდებოდეს სფეროს შესაბამისი განათლებით/პრაქტიკული გამოცდილებით.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ინტერვიურების პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევასა და მატერიალური რესურსების მობილიზებაში; ასევე, პროგრამის ხელმძღვანელი არის კომპეტენტური პირი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის ნაწილში.

2.2.1.4 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა დაწესებულების ბიბლიოთეკისა და დამატებითი სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შეამოწმა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები. ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც სანდო და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი.

   პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, დაწესებულების ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.

   ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 24 ივლისის N01-52 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო მასალის (რიდერების) მომზადებისა და დამტკიცების ინსტ- რუქცია“, რომელიც არეგულირებს სასწავლო სახელმძღვანელოს/მასალათა კრებულის შემუშავების მეთოდოლოგიას იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, სადაც სახელმძღვანელოები ნაკლებადაა ხელმისაწვდომი ან საჭიროებს ადაპტირებას მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისად. ბნუ-ში ფორმალიზებულია რიდერის შინაარსის, გაფორმების, რიდერის განხილვისა და დამტკიცების პროცედურა. პროფესიულ სტუდენტებს სასწავლო მასალა მიეწოდება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიერ სასწავლო მასალების ატვირთვის გზით. სასწავლო მასალებში შედის პრეზენტაციები, თვალსაჩინოებები და სხვ. სასწავლო პროცესში სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობის, საკმარისობისა და ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ბნუ-ში ტარდება პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევა, იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, რომელთა განხორციელების უფლება ბნუ-ს მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რის მიხედვითაც ბნუ-ს გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის 96% დადებითად აფასებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ლაბორატორიების, სასწავლო რესურსების ხარისხსა და ხელმისაწვდომობას. პროფესიულ სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.

   დაწესებულების ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას.

   დაწესებულები სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით OpenBiblio, აქვს რესურსებზე წვდომა ორგანიზებულია გამჭვირვალედ როგორც ბიბლიოთეკაში, ისე სასწავლო გარემოებსა და ელექტრონული რესურსების მეშვეობით რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.

   2.2.1.5 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულების“ 37-ე მუხლი განსაზღვრავს სასწავლო პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს, რის მიხედვითაც შეზღუდული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ბნუ-ს მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სახის სერვისი.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის A, B ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

დაწესებულების იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შენობა აღჭურვილია ლიფტით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. ასევე, დაწესებულებაში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.

A და B ტიპის სასწავლო სივრცეებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს ორგანიზება, მათ შორის მოსარგები სამუშაო ადგილებისა და სივრცის მოქნილი განლაგების საშუალებით. კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ადაპტირებას ან საჭიროების შემთხვევაში მის მოდიფიცირებას.

დაწესებულების ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენება ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც. ბიბლიოთეკის სივრცეებში უზრუნველყოფილია მობილობის შეზღუდვის მქონე პირების თავისუფალი გადაადგილება.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულების მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ბნუ-ს შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია და მსგავსი გამოცდილებაც არ გააჩნია. ბნუ-ს არ ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალიტი, თუმცა, რეგულაციით განსაზღვრულია, რომ შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობას.

2.2.1.6 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით.

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია სწავლის საფასურზე, რომლის მოცულობა განსაზღვრულია დაწესებულების ფინანსური პოლიტიკის შესაბამისად. შემოსავლის პროგნოზი ეფუძნება ზღვრული რაოდენობისა და მინიმალური დასაშვები ჯგუფის ანალიზს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა პოზიციას, მათ შორის:

- მასწავლებლის შრომის ანაზღაურება (ვაუჩერული დაფინანსებიდან);
- სასაწავლო მიზნით გაწეული ხარჯი (ვაუჩერული დაფინანსებიდან);
- ადმინისტრირების ხარჯი (ვაუჩერული დაფინანსებიდან);
- კომუნალური მომსახურების ხარჯი;

ხარჯების ასეთი სტრუქტურა ასახავს პროგრამის განხორციელების რეალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას.

ანალიზის მიხედვით, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამის რენტაბელობის ზღვარად მიჩნეულია მინიმუმ 15 პროფესიული სტუდენტი, რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე.

ბიუჯეტი ასახავს დაწესებულების სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი რეალიზაციისთვის.

2.2.1.7 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- დოკუმენტაციით საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს შესყიდვის შესახებ;
- სტრუქტურული ერთეულებით, სამუშაო აღწერილობითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- ვებ გვერდით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამის ბიუჯეტით;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგებით.
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“
- ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულებით“
- ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 10 ივლისის № 01-43 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის რაოდენობის დაგეგმვის, დატვირთვის და მუშაობის ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიით“
- ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 24 ივლისის N01-52 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო მასალის (რიდერების) მომზადებისა და დამტკიცების ინსტრუქცია“;
- ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის № 01-47 ბრძანებით დამტკიცებული “პერსონალის მართვის პოლიტიკის” დოკუმენტით;
- ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 08 აგვისტოს № 01-66 ბრძანებით დამტკიცებული “მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვისა და ამ რესურსებით სარგებლობის წესი”
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის დასაბუთებით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 20 ივნისის N5-03/25 ბრძანებით დამტკიცებული "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა" და ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულება", რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების ძირითად პროცესებს. დოკუმენტი ქმნის პროფესიული განათლების ხარისხის მართვის ერთიან, სისტემურ და პროცედურულად გაწერილ ჩარჩოს და უზრუნველყოფს პროცესების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე განხორციელებას. დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებას: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა / პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით; პროგრამების შეფასება იყენებს სისტემურ მეთოდებს პროგრამების შესახებ მონაცემების შეგროვების, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და კომუნიკაციისთვის, მისი განხორციელების, შედეგების ან ზემოქმედების გასაგებად. პროგრამების შეფასების მიზანია, თუ როგორ ხორციელდება პროგრამა, რათა შემდეგ მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნეს სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. პროგრამების ხარისხის, ეფექტურობის უზრუნველსაყოფად დაწესებულება იყენებს დაინტერესებული მხარეების მაღალ ჩართულობას, რადგან ჩართულობით იზრდება პერსონალის წევრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხარისხი, დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების შეჯერებით კი პერსონალი უფრო მეტად უახლოვდება პრაქტიკას და პროფესიულ სტუდენტებს ეხმარება ისეთი უნარებისა და კომპეტენციების განვითარებაში, რომლებიც აქტუალურია შრომის ბაზარზე.
   ხარისხის ციკლის ინდიკატორების გათვალისწინებით განხორციელებული პროგრამის შეფასება განაპირობებს პროგრამების განვითარებაზე ზრუნვას, როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრისთვის წინადადებების ინიცირების გზით, რაც ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.
   ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 24 ივლისის №01-52 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების, სხვა დაინტერესებული პირების კმაყოფილებისა და საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგიის" შესწავლით დადგინდა, რომ დაწესებულების პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

2.3.1.1 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა და/ან გაუქმება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, შრომის ბაზრის მოთხოვნის, პროფესიულ სტანდარტში განხორციელებული ცვლილებების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე. დაწესებულებაში ნებისმიერი ტიპის საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა და დამტკიცება ხდება პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტის -ბრძანების საფუძველზე.

არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა;

ბ) პროფესიული სტანდარტის გაუქმება;

გ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა;

დ) სხვა ობიექტური გარემოება

პროგრამაში ცვლილების შეტანის და/ან გაუქმების შემთხვევაში ბნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტში უნდა განისაზღვროს სამართლებრივი აქტის ამოქმედების ვადა და სასწავლო ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ვერ გავრცელდება აღნიშნული ცვლილება, გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია ცვლილების განხორციელებამდე პროგრამაზე უკვე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს დაასრულებინოს სწავლა მილევად რეჟიმში და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაცია.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს პრაქტიკა საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს პროგრამაში ცვლილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად. კონკრეტულად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ სწავლების გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც დაგროვდება გამოცდილება, საჭიროების შესაბამისად, განხორციელდება ცვლილებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.1.2 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“
- ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულებით“
- ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესებით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს. „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროგრამის სასწავლო გეგმა ასახავს მოდულების თანმიმდევრობას, განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს და უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას. გეგმა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული.

ექსპერტთა შეფასებით, „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. გეგმა არის მკაფიოდ სტრუქტურირებული. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად.

2.4.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

2. ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულების“ 35-ე მუხლი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხებს.

დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ადგენს:

- შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობას;
- შეფასების პროცესის ორგანიზებულობას;
- ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

ფუნქციონირებს როგორც მიმდინარე, ისე საბოლოო შეფასების მექანიზმები, ხოლო შეფასების ცვლილების ან გადავადების შემთხვევები ხდება განსაზღვრული წესის დაცვით.

აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და IT დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. კოლეჯში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად იქნება გამოყენებული სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია, თანასწორებს შორის სწავლების (peer-learning) ელემენტები და ინტერაქტიური ჯგუფური მუშაობა. აღნიშნული მიდგომები სტუდენტებს საშუალებას მისცემს რეალური IT პროცესების ანალიზისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების უნარები განივითაროს.

პროგრამის განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება იმიტირებული და სიმულაციური სასწავლო გარემოები, რომლებიც ასახავს IT მხარდაჭერის პროცესების ძირითად ეტაპებს. პრაქტიკული უნარების დასამუშავებლად გამოყენებული იქნება შესაბამისი სასწავლო მასალები, ინვენტარი და ტექნიკური საშუალებები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოსაყენებელი სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, ბნუ-ში „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და IT დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

2.4.1.3 სტანდარტი დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულების“ 36-ე მუხლი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის ორგანიზების საკითხებს, მათ შორის დარეგულირებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზებისა და კონსულტაციების მიღების პროცედურები. პროფესიულ სტუდენტს/სტუდენტთა ჯგუფს უფ- ლება აქვს ისარგებლოს ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისით, ბნუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით. ინდივიდუალური მეცადინეობის ორ- განიზებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პროფესიულ სტუდენტთან/სტუდენტთა ჯგუფთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებული განრიგით. ინდივიდუალური მეცადინეობის აღრიცხვას ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი, რისთვისაც ავსებს ბნუ-ს მიერ დადგენილ ფორმას. ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისის გამოყენება შეუძლია პროფესიულ სტუდენტს ან პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს წერილობითი განცხადების საფუძველზე, თუ: პროფესიულ სტუდენტმა გააცდინა მეცადინეობები, პროფესი- ულ სტუდენტს აქვს ინდივიდუალური საჭიროება, პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფი ან პროფესიული სტუდენტი განმსაზღვრელი შეფასების წინ საჭიროებს ინდივიდუალ მეცა- დინეობას/კონსულტაციას, პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფი ან პროფესიული სტუდენტი განმეორებით განმსაზღვრელი შეფასების წინ საჭიროებს ინდივიდუალ მეცადინეობას/კონსულტაციას, ნებისმიერი გარემოება, როდესაც პროფესიული სტუდენტი ან პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს ესაჭიროება დამატებითი მეცადინეობა. პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფს ან პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროფესიული განათლების მასწავლებელთან შეთანხმებული ფორმით (ელექტრონული ფოსტა, დახურული ჯგუფები, ელ. პლატფორმა, სატელეფონო კონსულ-ტაცია და სხვა) ისარგებლოს პროფესიული განათლების მასწავლებელთან კონსულტაციით, იმ პერიოდულობით, რაც დასჭირდება პროფესიულ სტუდენტს სწავლის შედეგების მისაღწევად.

ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულების“ 70-71-ე მუხლები არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულების დროში განაწილების დოკუმენტი, რომელიც პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კანონმდებლობისა და ბნუ-ს შიდა მარე- გულირებელი აქტებით დადგენილი წესით; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შემუშავდება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიული სტუდენტის სწავლება შეუძლებელია სტანდარტული სასწავლო გეგმით, მათ შორის: პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენისას; პროფესიული სტუდენტის შიდა ან გარემო მობი- ლობისას; მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას; მიღებული არაფორმალური განათლების აღია- რების შემდგომ სწავლის გაგრძელებისას; სსსმ და შშმ პირთა სასწავლებისას. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის პროექტს პროფესიული სტუდენტისათვის შეიმუშავებს ბნუ- ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, პროფესიული სტუდენტის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაწილეობით; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობს სპეციალისტი სსსმ/შშმ პირის საჭი- როების გათვალისწინებით. ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებობისას, ასეთი პირი მოიწვევა ბნუ-ს მიერ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი, პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმების მტკიცებულებასთან ერთად, დასამ- ტკიცებლად წარედგინება ბნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბნუ-ში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, ბნუ-ს აქვს გამოცდილება პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიმართულებით.

2.4.1.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია მხოლოდ დაწესებულების შენობაში, განხორციელების ფორმა - იმიტირებულ სამუშაო გარემოში.

2.4.1.5 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამით განსაზღვრული მოდულების სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო.

პროგრამა არ საჭიროებს დამატებით უსაფრთხოების მოთხოვნებს.

2.4.1.6 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ სასწავლო გეგმით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგებით;
- მემორანდუმით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით,
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალით;
- ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 16 ივლისის №01-47 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულებით“
- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ბნუ-ში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესი იგეგმება სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე, რისთვისაც სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ადგენს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცესის მართვის განრიგს. განრიგში მოცემულია პროგრამის დასახელება, ჯგუფის №, მოდულის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი, მოდულის სწავლის პერიოდი განმსაზღვრელი შეფასების თარიღები, პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების თარიღები, შეფასების ინსტრუმენტების რაოდენობა და სახე, ინსტრუმენტების წარმოდგენის თარიღი, ვალიდაციის თარიღი, ვალიდაციის ჯგუფი (გვარი, სახელი), განმეორებითი შეფასების თარიღი, აღნიშვნა განმეორებითი შეფასების ინსტრუმენტის ცვლილების შესახებ და სხვ. რაც წარმოადგენს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვის საფუძველს, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მექანიზმია და ბნუ-ს ეხმარება პროფესიულ სტუდენტთა სწავლებისას პროფესიული განათლების მასწავლებელთა, შემფასებელთა, ვალიდაციის ჯგუფის წევრთა და ვერიფიკატორთა იდენტიფიცირებაში, იმგვარად რომ დაცული იქნეს ობიექტურობის მაღალი მაჩვენებელი. ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 08 აგვისტოს N01-66 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომელიც ადგენს ბნუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტით/მოდულით განსაზღვრული კრედიტების მიღების მიზნით, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების, განმსაზღვრელი შეფასების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის, ასევე შეფასების შედეგების გამოყენებისა და შეფასების სისტემის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმებს. ბნუ-ში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე. შეფასების ინსტრუმენტები სავალდებულოდ ექვემდებარება ვალიდაციას, რომელიც შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია და გულისხმობს შეფასების ინსტრუმენტის ფორმალური და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შინაარსობრივი შესაბამისობის დადასტურებას კანონმდებლობითა და ბნუ-ს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან. ვალიდაციის პროცესში დგინდება: შეფასების ინსტრუმენტის შესაბამისობა შეფასების მიმართულებასთან;

2.4..2.1 ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 24 ივლისის № 01-52 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი“, რომელიც ადგენს მოთხოვნებს შეფასების სისტემის მიმართ და სამიზნე პროცესებს, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცედურას, შეფასების პროცესის ვერიფიკაციის მექანიზმებს, შეფასების ინსტრუ- მენტებისა და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას, შეფასების სისტემის ვერიფიკაციისას გამოყენებული სამუშაო ფორმებს. შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით. ვერიფიკაციისას გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმები. ვერიფიკაციის პროცესის ეტაპები განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ვერიფიკაციის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის განხორციელების განრიგი, ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებაში მონაწილეობს ვერიფიკატორი განათლების და ვერიფიკატორი დარგის მიმართულებით. განათლების მიმართულებით ვერიფიკატორი არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ან სპეციალისტი; ვერიფიკატორი დარგის მიმართულებით არის პროფესიული განათლების მასწავლებელი ან/და იმ დარგის სპეციალისტი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტე- ბის/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორცი- ელდება.

2.4.2.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

3.ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 08 აგვისტოს N01-66 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომლის მე-13 და მე-14 მუხლები ადგენენ მოთხოვნებს შეფასების მტკიცებულებიებისადმი. ბნუ-ში პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება მტკიცებულებას, რომელიც არის ვალიდური, ტრანსფერული, ავთენტური, საკმარისი და მოდულის სპეციფიკაციით დადგენილ მოთხოვნებთან ხარისხის დონის შესაბამისი. შეფასების მტკიცებუ- ლებები ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. შემდგომ ხდება მათი განადგუ- რება/უტილიზაცია კანონმდებლობითა და ბნუ-ს მიერ დადგენილი წესით ან რჩება ბნუ-ში საგანმანათლებლო მიზნებისათვის ან გადაეცემა ავტორს;
დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულება ახორციელებს მტკიცებულებების აღრიცხვას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

2.4.2.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

4.პროფესიულ სტუდენტს შეფასების შედეგები ეცნობება იმავე დღეს ან შეფასების განხორციელებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტებს ეცნობებათ იმავე დღეს, თუ შეფასების მიმართულება არის გამოკითხვა ზეპირი ფორმით ან შეფასების პროცესზე დაკვირვება. პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალურად ეცნობა შეფასების შედეგებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ან/და მოდულის განმახორციელებელ პირთან ან შეფასების შედეგები ეგზავნება ინდივიდუალურად, ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან/და აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტ-რონულ სისტემაში. პროფესიულ სტუდენტები პროფესიული განათლების მასწავლებლისგან იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან/შეფასების შედეგებთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზს ახორციელებს ბნუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის დოკუმენტი წარედგინება ბნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს და განიხილება ბნუ-ს პროფესიული განათლების დეპარტამენტის საბჭოს სხდომაზე; პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის მიხედვით, იგეგმება შესაბამისი ღონისძიებები, რომელთა შესრულების პროცესს აკვირდება ბნუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2.4.2.4 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 08 აგვისტოს N01-66 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით”
- ბნუ-ს რექტორის 2025 წლის 24 ივლისის № 01-52 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესით“
- დაწესებულების პერსონალთან ინტრვიუირებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
.....
.....
.....
.....

19.02.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: